ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2991011

ნომერი: AR1461294

თარიღი : 04.12.2016

გაცემის თარიღი : 12.12.2016

გაცნობის თარიღი : 12.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 9/11 , ქუჩა საადი N2, (ნაკვეთი N64/41) / ქალაქი თბილისი , სამღებროს ქ. N9/11, საადისქ. N2 , ნაკვ. N64/41-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ კუპრეიშვილი პ/ნ 61003003187
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 10 ბ. 85

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას, თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- სარეკლამო აბრის განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იქნას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების, მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის, ა ქვეპუნქტის მოთხოვნა. წარმოდგენილი უნდა იქნას ფასადისა და აბრის 20%-იანი დაანგარიშება.
- წარმოდგენილი უნდა იქნას ფოტო და ფოტომონტაჟი შორი ხედებიდან.
- ფასადის სიბრტყიდან გადმოწეული ლაითბოქსის განთავსებისას გათვალისწინებული უნდა იყოს N14-39 დადგენილების, 34-ე მუხლით განსაზღვრული ნორმები.
- წარმოდგენილი უნდა იქნას საკადასტრო რუკა ან სქემატური გენგეგმა საპროექტო არეალის ჩვენებით და ფასადის სიბრტყიდან გადმოწეული ლაითბოქსის ზომების ჩვენებით. მასზე დატანილი უნდა იყოს ყველა საჭირო ზომა რაც დაადასტურებს N14-39 დადგენილების 34-ე მუხლთან შესაბამისობას.
- ფოტომონტაჟები უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს.
- საჭიროა საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.
- წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ფართის მესაკუთრის თანხმობა.

სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.